შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული USAID/Zrda-ს წარმომადგენლებს შეხვდა

26 მარტი 2021

სამხარეო ადმინისტრაციაში შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მამუკა საღარეიშვილმა USAID/Zrda-ს ხელმძღვანელს ქეთევან ჭუმბურიძესა და პროექტის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მამუკა საღარეიშვილმა Zrda-ს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მოისმინა და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებსაც გაეცნო. USAID/Zrda-ს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის მნიშვნელობას პროექტების განხორციელების პროცესში. მხარეები სამომავლოდ კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.